



სოციალური მომსახურების სააგენტო
SOCIAL SERVICE AGENCY

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

დოკუმენტაცია

საოჯახო ტექნიკა (ცენტრალური გათბობის აღჭურვილობა, მონტაჟით)

CPV-39700000, 39715210

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე

თბილისი
2016 წელი

სარჩევი

- ტექნიკური დოკუმენტაცია
- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
- დანართი N1 – რეკვიზიტები
- დანართი N2 - სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი, მიწოდების ვადა და ადგილი

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

1. ტექნიკური დოკუმენტაცია

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები პრეტენდენტ(ებ)ს არ მოეთხოვება.

2. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის ელექტრონულ სისტემაში წარმოსადგენი ინფორმაცია. პრეტენდენტ(ებ)მა სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინონ:

2.1. პრეტენდენტის რეკვიზიტები - დანართი №1 -ის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2.2. სატენდერო წინადადების ფასი, მიწოდების ვადა და ადგილი, დანართი N2-ის მიხედვით. სატენდერო წინადადების ფასი უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული საქონლის (ქვაბები, საჭირო სამონტაჟო ელემენტებით) მიწოდებასთან და მონტაჟთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს/მოსაკრებელს/სახდელს, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“;

2.3. ინფორმაცია საგარანტიო პირობებისა და ვადების შესახებ (არანაკლებ 1 წელი).

2.4. პრეტენდენტმა მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი ინფორმაცია ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

3. ანგარიშსწორების პირობები:

3.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის/მოსაკრებლის/სახდელის გათვალისწინებით, რომლის გადახდა ეკისრება მიმწოდებელს.

3.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიწოდებისა და მონტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და მხარეთა შორის გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტის საფუძველზე, ყველა ამ დოკუმენტის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო თუ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი, წარმოდგენილ უნდა იქნეს სასაქონლო ზედნადები და კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი და მხარეთა შორის გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტი. ამ პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების სრულად (ერთობლივად) წარმოდგენის გარეშე ანგარიშსწორება არ განხორციელდება.

3.4. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

3.5. დაფინანსების წყარო: 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

4. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები:

4.1. შესყიდვის ობიექტის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, საოჯახო ტექნიკა - 5 (ხუთი) ერთეული კედლის საყოფაცხოვრებო საქვაბე დანადგარი და მათი მონტაჟის თანმდევი მომსახურება.

5. საქონლის მიწოდების ვადები და პირობები:

5.1. საქონლის მიწოდება და მონტაჟი უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

5.2. საქონლის მიწოდება და მონტაჟი უნდა განხორციელდეს ბუნებრივი აირის სადისტრიბუციო კომპანიათა მიერ გაცემული ტექნიკური პირობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შემდეგ მისამართებზე:

5.2.1. ქ. მარტვილი, თავისუფლების ქ. N10-ში. დასამონტაჟებელ 30კვტ-დან 35 კილოვატამდე დანადგარს უნდა გააჩნდეს შემდეგი ტექნიკური მახასიათებლები: ქვაბის სიმძლავრე - 30-35 კვტ, გამწოვი გარე მილის დიამეტრი - 100მმ, გამწოვი შიდა მილის დიამეტრი - 60მმ, წყლის შიდა საცირკულაციო მილები თითბერის.

5.2.2. ქ. ხონი, კაკაბაძის ქ. N17-ში დასამონტაჟებელ 30კვტ-დან 35 კილოვატამდე დანადგარს უნდა გააჩნდეს შემდეგი ტექნიკური მახასიათებლები: ქვაბის სიმძლავრე - 30-35 კვტ, გამწოვი გარე მილის დიამეტრი - 100მმ, გამწოვი შიდა მილის დიამეტრი - 60მმ, წყლის შიდა საცირკულაციო მილები თითბერის.

5.2.3. დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ. N61-ში დასამონტაჟებელ დანადგარს უნდა გააჩნდეს შემდეგი ტექნიკური მახასიათებლები: ქვაბის სიმძლავრე - 24 კვტ, გამწოვი გარე მილის დიამეტრი - 100მმ, გამწოვი შიდა მილის დიამეტრი - 60მმ, წყლის შიდა საცირკულაციო მილები თითბერის.

5.2.4. დაბა ხელვაჩაური, აღმაშენებლის ქ. N21-ში დასამონტაჟებელ 30კვტ-დან 35 კილოვატამდე დანადგარს უნდა გააჩნდეს შემდეგი ტექნიკური მახასიათებლები: ქვაბის სიმძლავრე - 30-35 კვტ, გამწოვი გარე მილის დიამეტრი - 100მმ, გამწოვი შიდა მილის დიამეტრი - 60მმ, წყლის შიდა საცირკულაციო მილები თითბერის.

5.2.5. დაბა თიანეთი, 9 აპრილის ქ. N2-ში დასამონტაჟებელ დანადგარს უნდა გააჩნდეს შემდეგი ტექნიკური მახასიათებლები: ქვაბის სიმძლავრე - 24 კვტ, გამწოვი გარე მილის დიამეტრი - 100მმ, გამწოვი შიდა მილის დიამეტრი - 60მმ, წყლის შიდა საცირკულაციო მილები თითბერის.

5.3. წუნის არსებობის შემთხვევაში ან სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას კედლის საყოფაცხოვრებო საქვაბე დანადგარის

დაზიანების შემთხვევაში, მიმწოდებელმა შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში უნდა საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას დაზიანება ან ჩანაცვლოს ახლით.

5.4. ყველგან, სადაც მითითებულია სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი იგულისხმება „მსგავსი“ ან „ექვივალენტური“.

5.5. მოწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ან აღემატებოდეს სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალებით მოთხოვნილს.

6. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის

6.1. ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე.

6.2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

6.3. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

6.4. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადის/მოსაკრებელის/სახდელის გათვალისწინებით.

6.5. სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

6.6. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:

6.6.1. სატენდერო კომისიის წევრი - ზაზა ჭანტურია. ტელ.: 591919109, ელ.ფოსტა: zchanturia@ssa.gov.ge

6.6.2. სატენდერო კომისიის აპარატის წევრი - ქეთევან ხარაძე. ტელ.: 591919090, ელ.ფოსტა: KKharaдзе@ssa.gov.ge

შენიშვნა: სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტები უნდა იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული სანოტარო წესით.

სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ტექნიკური პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

7. ტექნიკური დავალება

7.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კედლის საყოფაცხოვრებო საქვაბე დანადგარების (5 ცალი კედლის საყოფაცხოვრებო საქვაბე დანადგარი მონტაჟით)

7.1.1. საყოფაცხოვრებო საქვაბე დანადგარი

დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა
კედლის საყოფაცხოვრებო საქვაბე დანადგარი მონტაჟით	ქვაბის სიმძლავრე - 30-35 კვტ, გამწოვი გარე მილის დიამეტრი - 100მმ, გამწოვი შიდა მილის დიამეტრი - 60მმ, წყლის შიდა საცირკულაციო მილები თითბურის	3
	ქვაბის სიმძლავრე - 24 კვტ, გამწოვი გარე მილის დიამეტრი - 100მმ, გამწოვი შიდა მილის დიამეტრი - 60მმ, წყლის შიდა საცირკულაციო მილები თითბურის	2

7.1.2. საყოფაცხოვრებო საქვაბე დანადგარის საჭირო სამონტაჟო ელემენტები

N	დასახელება	განზ.	რაოდენობა
1	2	3	4
1	ქვაბი კედლის, გაზის, დახურული წვის კამერით 30-35 კვტ მონტაჟით	კომპ	3
	ქვაბის (ბოილერი) კომპლექტი	კომპ	3
	პლასტმასის სქელკედლიანი ფოლგეიანი მილი დ=20მმ (1/2 დიუმი)	მ	არაუმეტეს 30.0
	პლასტმასის სქელკედლიანი ფოლგეიანი მილი დ=25მმ (3/4 დიუმი)	მ	არაუმეტეს 30.0
	მუხლი (მართკუთხა) დ=20 მმ (1/2 დიუმი)	ც	არაუმეტეს 30.0
	მუხლი (მართკუთხა) დ=25 მმ (3/4 დიუმი)	ც	არაუმეტეს 30.0
	სამკაპი დ=20 მმ	ც	არაუმეტეს 15.0
	სამკაპი დ=25 მმ	ც	არაუმეტეს 15.0
	სამკაპი 40-25-40	ც	არაუმეტეს 10.0
	მუფთა დ=20 მმ (1/2 დიუმი)	ც	არაუმეტეს 30.0
	მუფთა დ=25 მმ (3/4 დიუმი)	ც	არაუმეტეს 30.0
	ვენტილი დ=20 მმ (1/2 დიუმი)	ც	არაუმეტეს 15.0
	ვენტილი დ=25 მმ (3/4 დიუმი)	ც	არაუმეტეს 15.0
2	ქვაბი კედლის, გაზის, დახურული წვის კამერით 24 კვტ მონტაჟით	კომპ	2
	ქვაბის (ბოილერი) კომპლექტი	კომპ	2
	პლასტმასის სქელკედლიანი ფოლგეიანი მილი დ=20მმ (1/2 დიუმი)	მ	არაუმეტეს 30.0
	პლასტმასის სქელკედლიანი ფოლგეიანი მილი დ=25მმ (3/4 დიუმი)	მ	არაუმეტეს 30.0
	მუხლი (მართკუთხა) დ=20 მმ (1/2 დიუმი)	ც	არაუმეტეს 30.0
	მუხლი (მართკუთხა) დ=25 მმ (3/4 დიუმი)	ც	არაუმეტეს 30.0

სამკაპი დ=20 მმ	ც	არაუმეტეს 15.0
სამკაპი დ=25 მმ	ც	არაუმეტეს 15.0
სამკაპი 40-25-40	ც	არაუმეტეს 10.0
მუფთა დ=20 მმ (1/2 დიუმი)	ც	არაუმეტეს 30.0
მუფთა დ=25 მმ (3/4 დიუმი)	ც	არაუმეტეს 30.0
ვენტილი დ=20 მმ (1/2 დიუმი)	ც	არაუმეტეს 10.0
ვენტილი დ=25 მმ (3/4 დიუმი)	ც	არაუმეტეს 10.0

შენიშვნა: მოსაწოდებელ საქონელზე საგარანტიო ვადა არანაკლებ 1 (ერთი) წელი, საქონლის მოწოდება (მონტაჟის) თარიღიდან.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

(ხელშეკრულების პროექტი ატარებს ნიმუშის ხასიათს და მისი საბოლოოდ შეჯერება მოხდება მიმწოდებელთან ხელშეკრულების დადების პროცესში სატენდერო დოკუმენტაციისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების გათვალისწინებით)

ქ. თბილისი

----- 2016 წელი

ერთი მხრივ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის შემსრულებლის ----- სახით და მეორე მხრივ, ----- (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **SPA**----- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (CPV კოდი 39700000, 39715210) ჩატარების შედეგად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ----- 5 ცალი კედლის საყოფაცხოვრებო საქვაბე დანადგარი თანმდევი სამონტაჟო მომსახურებით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- ლარს.

2.3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი/მოსაკრებელი/სახდელი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

3. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდება (მონტაჟი) უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. მიწოდების ადგილები:-----

3.2. „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული საქონლის ხარისხსა და შესრულებულ სამუშაოზე (მონტაჟი) გამოვლენილი დეფექტებისა და უზუსტობების აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება საქონლის მიწოდება (მონტაჟი) ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტის სახით, „მიღება-ჩაბარების“ აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის ხელის მოწერით, „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების და წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, ხოლო თუ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი, წარმოდგენილ უნდა იქნეს სასაქონლო ზედნადები და კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემულ ცნობა, რომ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი, რის საფუძველზეც წერილობითი ფორმით ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტი, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის ხელის მოწერით.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება.

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება წარმოდგენილი, სასაქონლო ზედნადების, საგარანტიო ფურცლის, ანგარიშ-ფაქტურის და მხარეთა შორის გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტის საფუძველზე, ყველა ამ დოკუმენტის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო თუ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი, წარმოდგენილ უნდა იქნეს სასაქონლო ზედნადები, საგარანტიო ფურცელი და კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი და მხარეთა შორის გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტი. ამ პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების სრულად (ერთობლივად) წარმოდგენის გარეშე ანგარიშსწორება არ განხორციელდება.

6. გარანტია

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;

6.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე და უხარისხო მონტაჟზე;

6.3. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, საგარანტიო ვადაში არ გამოავლენს დეფექტებს;

6.4. ხელშეკრულების N1 დანართში მითითებული საქონლის საგარანტიო ვადა ----- წელი, მხარეთა შორის „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან.

6.5. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ წუნის არსებობის შემთხვევაში ან სამუშაოების შესრულებისას (მონტაჟი) კედლის საყოფაცხოვრებო საქვაბე დანადგარის დაზიანების შემთხვევაში, მიმწოდებელმა შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში უნდა საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას დაზიანება ან ჩაანაცვლოს ახლით.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ საქონელი (მონტაჟით) დადგენილ ვადაში.

7.1.2. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

7.1.3. დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.2.2. დროულად განიხილოს "მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე და უხარისხო მონტაჟზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

9.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

9.2.1. სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

9.2.2. გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

9.2.3. ეპიდემიები;

9.2.4. ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

9.2.5. ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

9.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

9.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

9.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებული არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

9.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

9.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

9.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, მხარეთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

- 11.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
- 11.2. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
- 11.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

- 12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუზიარონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

- 13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.
- 13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 13.3. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადას 10 (ათი) კალენდარული დღით, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ ჯარიმის სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის გადახდა.
- 13.4. ამ მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს და/ან საჯარიმო სანქციების გარდა, თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს ვალდებულებათა შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი, ამ ხელშეკრულებით და/ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად.

14. ხელშეკრულების კონტროლი

- 14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განხორციელებს კოორდინატორი სოციალური მომსახურების სააგენტოს ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს -----.
- 14.2. კოორდინატორის ფუნქციებია:
 - 14.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.
 - 14.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმება.

15. ხელშეკრულების ენა

- 15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცელება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

- 16.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
- 16.2. ხელშეკრულების 16.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით.
- 16.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.
- 16.4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
 - 16.4.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით.
 - 16.4.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის ----- ჩათვლით.

18. დასკვნითი დებულებები

- 18.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გადრმავეების სურვილით.

- 18.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
- 18.3. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
- 18.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
- 18.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
- 18.6. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებიან, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 18.7. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ. შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
- 18.8. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არაუგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.
- 18.9. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 18.10. ხელშეკრულება შედგენილია ----- ფურცლად, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ორი ეგზემპლარი „შემსყიდველთან“.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ელექტრონული ფოსტის მისამართი საკონტაქტო
პირ(ებ)ის მითითებით, რომელზეც გაგზავნილი მოთხოვნა (შეკვეთა)
ითვლება ოფიციალურ მოთხოვნად (შეკვეთად)

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი, მიწოდების ვადა და ადგილი

(შევსების თარიღი)
საქონელს გთავაზობთ

(_____) ლარად.
(თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვიერად)

(პრეტენდენტის დასახელება)

დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი კომპანია	მოდელი	გარანტიის ვადა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა და ადგილი
კედლის საყოფაცხოვრებო საქვაბე დანადგარი მონტაჟით	ქვაბის სიმძლავრე - 30-35 კვტ, გამწოვი გარე მილის დიამეტრი - 100მმ, გამწოვი შიდა მილის დიამეტრი - 60მმ, წყლის შიდა საცირკულაციო მილები თითბერის	3							ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, შემდეგ მისამართებზე: ქ. მარტვილი, თავისუფლების ქ. N10, ქ. ხონი, კაკაბამის ქ. N17, დაბა ხელვაჩაური, აღმაშენებლის ქ. N21
	ქვაბის სიმძლავრე - 24 კვტ, გამწოვი გარე მილის დიამეტრი - 100მმ, გამწოვი შიდა მილის დიამეტრი - 60მმ, წყლის შიდა საცირკულაციო მილები თითბერის	2							ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, შემდეგ მისამართებზე: დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ. N61, დაბა თიანეთი, 9 აპრილის ქ. N2
ჯამი									

შენიშვნა:

მოსაწოდებელს საქონელზე საგარანტიო ვადა არანაკლებ 1 (ერთი) წელი, საქონლის მოწოდება (მონტაჟის) თარიღიდან.

მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საქონლის მონტაჟი უნდა განხორციელდეს სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალების 7.1.2. პუნქტით განსაზღვრული მასალების გამოყენებით და სპეციფიკაციის შესაბამისად.

საყოფაცხოვრებო საქვაბე დანადგარის საჭირო სამონტაჟო ელემენტების და თანმდევი მომსახურების ფასი გათვალისწინებული უნდა იქნეს საქონლის ღირებულებაში.

პრეტენდენტის ხელმოწერა _____